ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
ელექტრონული საბჭოს სხდომის
ოქმი N4
25.02.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
2. ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე კვოტების გადანაწილება;
3. სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის კოეფიციენტის განსაზღვრა;
4. .1988 წლის კურსდამთავრებულ ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის ოქმში შესწორების საკითხი.

სხდომას ესწრებოდნენ:
თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე
ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:
პროფესორი:
მზია წერეთელი, ია კუტალაძე, ლალი სურმანიძე
ასოცირებული პროფესორები:
მანანა მელიქიშვილი, ლუიზა არუთინოვა, ანი ქიტიაშვილი, გიორგი გოროშიძე, თამარ აბაშიძე
ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, შორენა მამუკაძე, ირინა გედევანიშვილი, ია აფთარაშვილი, მედეა დესპოტაშვილი, ნინო ლაბარტყავა
განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:
პროფესორი:
ქეთევან ჭკუასელი
ასოცირებული პროფესორი:
იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე
ასისტენტ პროფესორი:
ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:
მარიამ ტაბატაძე, გვანცა სალია, ანი ზერეკიძე, ქეთი აბესაძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 23 წევრი.

განიხილეს:

1) მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ დოკუმენტს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 23
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

2) ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე კვოტების გადანაწილება;

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მიმართულების 2016-2017 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამები შესაბამისი კონტინგენტის კვოტირებით :

<u>ფსიქოლოგიის მიმართულებაზე მიღება ცხადდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:</u>

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია - 15 ადგილი
განათლების ფსიქოლოგია და კვლევა - 15 ადგილი
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, – 15 ადგილი
კლინიკური ნეიროფსიქოლოგია. – 15 ადგილი

<u>განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი მიღებას აცხადება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:</u>

განათლების მეცნიერებები – 20 ადგილი
მასწავლებელთა განათლება – 10 ადგილი

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ 2016-2017 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამებს შესაბამისი კონტინგენტის კვოტირებით და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 23
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

3) სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის კოეფიციენტის განსაზღვრა;

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მიმართულების 2016-2017 სასწავლო წლის ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის კოეფიციენტის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვით, სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებებათა ფაკულტეტი კოეფიციენტს არ განსაზღვრავს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ინიციატივას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 23
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

4) 1988 წლის კურსდამთავრებულ ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის ოქმში შესწორების საკითხი.

სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ 5.02.2016 წლის საბჭოს სხდომის მე-2 ოქმში კურსდამთავრებულ ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისას მოხდა არაარსებითი ხასიათის მცირე უზუსტობა, კერძოდ ნაცვლად: „(ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს ნონა უგულავას კვალიფიკაციის მინიჭების ბძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (13/პ ივნისი 1988)“. ჩანაწერში უნდა იყოს: „(ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს ნონა უგულავას კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და თარიღად 13 ივნისი 1988. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.“
შესაბამისად, საჭიროა ჩასწორებული ჩანაწერის ხელახლა დამტკიცება. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა 5.02.2016 წლის ფაკულტეტის საბჭოს მე-2 ოქმის შესწორებული ვერსია.

საბჭომ კენჭი უყარა ოქმის შესწორებული ვერსიას.

მომხრე: 22
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 1

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2016-2017 წლების მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შემოთავაზებული ვერსია.
2. დამტკიცდეს ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე კვოტების გადანაწილება წარმოდგენილი სახით.
3. 2016-2017 სასწავლო წლის ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებებათა ფაკულტეტზე არ განისაზღვროს კოეფიციენტი.
4. 1988 წლის კურსდამთავრებულ ნონა უგულავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის შესახებ 5.02.2016 წლის ფაკულტეტის საბჭოზე ოქმის მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის მე-2 ოქმში შესწორების საკითხი გადაწყდეს

ადებითად და დამტკიცდეს ოქმის შესწორებული ვერსია: „აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს ნონა უგულავას კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და თარიღად 13 ივნისი 1988. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.“

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / [signature] /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / [signature] /

25. 02. 2016